სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/34

ქ. თბილისი 18 აპრილი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" №99/ნ ბრძანების 90-ე მუხლის, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსის ედიშერ კვესიტაძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია თითოეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 2.

2.1. უნივერსიტეტს პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მფლობელობაში აქვს შესაბამისი შენობა - ნაგებობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს კვალიფიციური ადამიანური რესურსი.

2.2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

მუხლი 3.

3.1. უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C.

დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C; B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.

3.2. **A** ტიპის სასწავლო გარემო - შენობაში არსებული სასწავლო სივრცე, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი), კარადა. შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

3.3. **B** ტიპის სასწავლო გარემო - შენობაში არსებული სასწავლო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და კომპიუტერით, ქსელური პრინტერითა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორი).

3.4. **C** ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობაში ან მის გარეთ მოწყობილ სივრცეში.

მუხლი 4.

4.1. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია:

4.1.2 **A** სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

4.1.2 **B** სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

4.1.3 **C** სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

მუხლი 5.

5.1. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.

მუხლი 6.

6.1. პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

6.2. სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.

მუხლი 7.

7.1. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ დებულებით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რაც აისახება შესაბამის განაცხადში.

მუხლი 8.

8.1. უნივერსიტეტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

8.1.1 პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

8.1.2 პროგრამის ხანგრძლივობა;

8.1.3 პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტის/ობიექტების რესურსი;

8.1.4 პროგრამის განმახორციელებელი საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

მუხლი 9.

9.1. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით.

მუხლი 10.

10.1. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელი, ასევე უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი წლისათვის გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 11.

11.1. სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრისას, ასევე, გაითვალისწინება პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 12.

12.1. სტუდენტთა/მსმენელთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე.